განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

04/10/2024

MES 9 24 0001275788

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მოქმედებს სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების სოციალური პროგრამა, რომელსაც ყოველი სასწავლო წლისთვის, სამინისტროს წარდგინებით, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. 2024 წლის 10 ივლისის№226 დადგენილებით განისაზღვრა - 2024-2025 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობები.

აღნიშნული მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული გარკვეული კატეგორიის სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებას. სოციალური პროგრამის ფარგლებში სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, განაცხადები მიიღება მხოლოდ ონლაინ რეჟიმში **2024 წლის 11 ოქტომბრიდან 2024 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით** http://socreg.mes.gov.ge პორტალზე რეგისტრაციით. ელექტრონული რეგისტრაციის პორტალზე გადასვლა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ვებგვერდიდან (ბანერი - სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრი გრანტით დაფინანასება სოციალური პროგრამის ფარგლებში).

გიგზავნით საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 ივლისის N226 დადგენილებას და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 16 აგვისტოს N982475 ბრძანებას სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად სტუდენტთა განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესისა და ვადების, საჭირო დოკუმენტების ნუსხისა და განცხადებების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ.

სტუდენტების ინფორმირების მიზნით, გთხოვთ, უზრუნველყოთ ინფორმაციის გავრცელება.

დანართი: ორი ფაილი

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზ
რდობის სამინისტრო / უმაღლესი განათლების განვით
არების დეპარტამენტის უფროსის
ფუნქციათა შემსრულებელი
შუხოშვილი მაია